

შ.პ.ს. „ქართული პროდუქტი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 427728015

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება*

2023 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჭ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები				
	შენიშვნა	2023	2022	2021
ფულადი სახსრები	4	133 530	112 818	766 561
სავაჭრო მოთხოვნები	5	997 047	103 180	136 734
გადახდილი ავანსები	6	28 966	16 326	196 542
მარაგი		79 705	119 051	332 285
- მზა პროდუქცია				
- სხვა		79 705	119 051	332 285
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები		-		
ბიოლოგიური აქტივები	7	362 843	316 315	45 238
- თვითღირებულების მოდელით		362 843	316 315	45 238
- გადაფასების მოდელით				
ბიოლოგიური აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივი				
ძირითადი საშუალებები	8	1 793 158	1 960 527	1 374 265
- მიწა		167 885		
- შენობა-ნაგებობა		695 057		
- სხვა ძირითადი საშუალებები		929 897	1 960 150	1 373 830
- არამატერიალური აქტივები		319	377	435
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-		
სულ აქტივები		3 395 250	2 628 217	2 851 625
ვალდებულებები	შენიშვნები	2023	2022	2021
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	9	951 040	619 960	1 045 289
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1 087 356	1 763 263	1 237 986
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	10	330 000	-	-
სულ ვალდებულებები		2 368 396	2 383 223	2 283 275
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		-	-	-
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1 026 854	244 994.00	568 350.00
გადაფასების რეზერვი				-
სხვა რეზერვები				-
სულ კაპიტალი		1 026 854	244 994.00	568 350.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 395 250	2 628 217.00	2 851 625.00

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

		2023	2022
ნეტო ამონაგები	შენიშვნა	6 440 945	4 859 660
- საქონლის გაყიდვიდან		6 440 945	4 859 660
- მომსახურების გაწევიდან		-	-
- სხვა საიჯარო ხელშეკრულებებიდან		-	-
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		(4 589 388)	(4 062 633)
- საწყისი მარაგი			
- შესყიდვა			
- საბოლოო მარაგი			

საერთო მოგება		1 851 557	797 027
სხვა შემოსავალი	11	142 130	129 741
დასაქმებულთა ანაზღაურება		(400 250)	(376 864)
ცვტა/ამორტიზაცია		(175 968)	(132 137)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(164 007)	(138 545)
იჯარის ხარჯი		(35 448)	(56 658)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(435 679)	(534 390)
სულ საოპერაციო ხარჯი		(1 069 222)	(1 108 853)
სულ საოპერაციო მოგება		782 335	(311 826)
გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება			
ფინანსური აქტივები- ხაჯების აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(475)	(11 530)
მიღებული დივიდენდი		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		781 860	(323 356)
მოგების გადასახადი			
მოგება/ზარალი		781 860	(323 356)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ბიოლოგიური აქტივის (გადაფასების			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		781 860	(323 356)

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		244 994	568 350
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	0
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 026 854	244 994

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბერ

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება/ზარალი დაბეგვრამდე

782 335

კორექტირებები:

ცვეთა და მორტიზაცია

175 968

მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში

ცვლილებამდე

958 303.05

კლება/ზრდა:

ცვლილებები მარაგში

(7 182)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(893 867)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

661 080

საგადასახადო აქტივი

-

საგადასახადო ვალდებულება

მოგების გადასახადი

-

ავანსები

(12 640)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

705 693

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების შეძენა/ხარჯებიდან აღდგენის ჩათვლით

(8 598)

ძირითადი საშუალების ხარჯებიდან აღდგენის ჩათვლით

-

კაპიტალის შემცირება

-

გაცემული/მიღებული დივიდენდი

-

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(8 598)

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან

მიღებული სესხები

(675 907)

გაცემული სესხები

-

ფინანსური ოპერაციიდან მიღებული სხვა შემოსავალი ვალუტის

ცვლილებით მიღებული სხვაობა

(475)

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

(676 382)

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში

20 712

სავალუტო კურსის ეფექტი

-

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში

112 818

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

133 530

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართული პროდუქტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს-ის) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირდა 2016 წლის 18 მაისი, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 427728015.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის აქციებს ფლობს ერთი აქციონერი:

1. გელა გელაშვილი პ/ნ 13001013276 – 100% -იანი წილის მფლობელი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - 13001013276, გელა გელაშვილი

იურიდიული მისამართი: საქართველო, გურჯაანი ს.ველისციხე ;

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, გურჯაანი ს.ველისციხე;

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობაა მფრინველეობა, მეხორცული ჯიშის შინაური ფრინველის მოშენება, კერძოდ კომპანია ფლობს საკუთრებისა და გრძელვადიანი იჯარის ფორმით გურჯაანის რაიონში მდებარე რამდენიმე მეფრინველეობის ფერმას, ახდენს ახალშობილი წიწილის შესყიდვას მის გაზრდას და შემდგომ რეალიზაციას, შპს ქართული პროდუქტი ასევე ფლობს მეფრინველეობის სასაკლაოს, სადაც ხდება შინაური ფრინველის დაკვლა, გასუფთავება, დაფასოება და სარეალიზაციოდ მომზადება.

2021 წლიდან შპს-მ დაიწყო ასევე შინაური მწყერის მოშენება, მისი დასაკლავ კონდიციამდე მიყვანისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ასევე ხდება მწყერის კვერცხის წარმოება და რეალიზაცია.

ორგანიზაცია ჩართულია სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სააგენტოს პროექტში, რომლის ფარგლებშიც მოხდა იაფი აგროკრედიტის აღება, რათა მომხდარიყო ზემოთ აღნიშნული ფერმების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია.

შპს „ქართული პროდუქტი“-ს აღებული აქვს შპს „აგროჰაბი“-გან, გრძელვადიანი კრედიტი რითაც მოხდა საწარმოსათვის შენობა-ნაგებობის რემონტი, ასევე წარმოების დასაწყებად აუცილებელი ნედლეულისა და მასალების შეძენა.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ დაიწყო ქათმის კვერცხის წარმოება. განხორციელდა მეფრინველეობის ფერმის მშენებლობა, რომელიც აღიჭურვა სრულიად თანამედროვე ევროპული სტანდარტების საწარმოო სრულად ავტომატიზირებული საწარმოო ხაზით, ასევე მოხდა მეკვერცხული ჯიშის ფრინველის იმპორტი თურქეთის რესპუბლიკიდან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღრებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღრებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღრებულებას შორის უფრო მაღალი/ საბალანსო ღრებულება აღდგენად ღრებულებალმზე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღრებულების ან სამართლიანი ღრებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღრებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შეოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების მოწყობილობისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით. საანგარიშო სასარგებლო გამოგენების ვადებში მათ ნარჩენ ღრებულებაზე მათი ღრებულების განაწილებით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:

- შენობა ნაგებობები - 20 წელი
- მანქანა-დანადგარები - 5 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- სპეციალური ინსტრუმენტები - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2,7020	2.6894

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულები,

ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

ამონაგების აღირება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს მფრინველეობა, მეხორცული ჯიშის შინაური ფრინველის მოშენებას რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ

გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე.

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებები ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში, ხელმძღვანელობა ასევე იუენებს შეფასებებს (იმის გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს). აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

განმარტებითი შენიშვნები

4. ფულადი სახსრები

	31.12.2023
ნაღდი ფული	10 916
ლარი საბანკო ანგარიშზე	122 614
	133 530

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებ	997 047
	997 047

6. გადახდილი ავანსები

	31.12.2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	28 966
სხვა გადახდილი ავანსები	-
	<u>28 966</u>

7. ბიოლოგიური აქტივი

	31.12.2023
დასაკლავი ქათამი	362 843
	<u>362 843</u>

8. ძირითადი საშუალებები

	31.12.2023
მიწა	167 885
შენობა ნაგებობა	695 057
სხვა ძირითადი საშუალებები	929 897
-არამატერიალური აქტივები	319
	<u>1 793 158</u>

9. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	951 040
	<u>951 040</u>
	-

10. სხვა ვალდებულებები

	31.12.2023
მიღებული ავანსები	330 000
	<u>330 000</u>

11. სხვა შემოსავალი

31.12.2023

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო-აიფი	
აგროკრედიტი	128 514
მანქანა-დანადგარების საგარანტიო პირობით	
მიღებული საადარიგო ნაწილები	13 615
	142 130

შპს ქართული პროდუქტის:

დირექტორი:

ბუღალტერი:

2024 წლის 1 ოქტომბერი

